შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

(შპს „თეგეტა მოტორსსა“ და ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტს“ შორის 2024 წლის 01 ივლისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე)

ქ. თბილისი **31 მარტი, 2025 წ.**

ერთი მხრივ, **შპს „თეგეტა მოტორსი”** (შემდგომში - „მეიჯარე“), წარმოდგენილი მისი ადმინისტრირებისა და კონტროლის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, გიორგი ხმელიძის სახით (მოქმედი შპს „თეგეტა მოტორსის“ მთავარი აღმასრულებელი ოფიცრის მიერ 2025 წლის 04 მარტს გაცემული N01-1 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში) და მეორე მხრივ, **ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“** (შემდგომში - „მოიჯარე“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, შალვა ახვლედიანის სახით, (შემდგომში - ერთობლივად წოდებული, როგორც „მხარეები“ და ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“):

იმდენად, რამდენადაც:

- „მხარეთა“ შორის 2024 წლის 01 ივლისს გაფორმებულია უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მეიჯარემ გადასცა, ხოლო მოიჯარემ დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში მიიღო ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული მეიჯარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რომელიც განკუთვნილია ნარჩენი ზეთის უბნისთვის (მასში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით, შემდგომში ერთად - „იჯარის ხელშეკრულება“);
- „მხარეები“ გამოხატავენ სურვილს „ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „იჯარის ხელშეკრულების“ მე-11 მუხლის 11.1 პუნქტის მიხედვით, „იჯარის ხელშეკრულებაში“ დამატებები და ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

ამდენად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, „ხელშეკრულების“ შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას (შემდგომში „შეთანხმება“) შემდეგზე:

1. შეიცვალოს „იჯარის ხელშეკრულების“ მე-2 მუხლის („საიჯარო ქირა და გადახდის წესი“) 2.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „2.1. საიჯარო ქირის ყოველთვიური ოდენობა ჯამურად შეადგენს **2440,46 (ორი ათას ოთხას ორმოცი აშშ დოლარი და ორმოცდაექვსი ცენტი)** აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში და არ მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. საიჯარო ქირის გადასახადი კონკრეტულ საიჯარო ფართებზე განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით.“

2. შეიცვალოს ხელშეკრულებოს დანართი N1 და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული რედაქციით.
3. „იჯარის ხელშეკრულების“ სხვა პირობები/დებულებები დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის 2025 წლის 01 აპრილიდან.
5. წინამდებარე შეთანხმება დაერთვის მხარეთა შორის გაფორმებულ ,,იჯარის ხელშეკრულებას“ და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
6. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემათ წიამდებარე მხარეებს.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„მოიჯარე“
ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“
მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებელის ხეივანი, N129
საიდენტიფიკაციო კოდი: 405523161
ს.ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE14TB7638836030100001

დირექტორი
შალვა ახვლედიანი

„მეიჯარე“
შპს „თეგეტა მოტორსი“
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, №129
ს/კ: 202177205
ს.ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE80TB0600000024467853

ადმინისტრირებისა და კონტროლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
გიორგი ხმელიძე

დანართი N1

(შპს „თეგეტა მოტორსსა“ და ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტს“ შორის 2024 წლის 01 ივლისს გაფორმებული უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებაზე)

N	მისამართი	საკადასტრო კოდი	კოორდინატები:	საიჯარო საგნის დასახელება	საიჯარო ფართის რაოდენობა (კვ.მ)	ერთ. ღირებულება 1 კვ.მ ფართზე (დღგ-ს გარეშე, აშშ დოლარში)	ჯამური ღირებულება საიჯარო ფართის (დღგ-ს გარეშე, აშშ დოლარში)
1	ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N129	01.72.14.013.442	X-481211 Y-4626449	მიწის ფართი (ნარჩენი ზეთების უბანი)	დაზუსტებული ფართობიდან 27,138.00კვ.მ-დან **150 კვ.მ.**	6,44	966
2	ქალაქი ქუთაისი, ქუჩა ნიკეა, ჩიხი IX , N 2ა, (ყოფ. ქუჩა ნიკეა, ჩიხი VIII, N2), (ნაკვ. N1); ქალაქი ქუთაისი, ქუჩა ნიკეა , ჩიხი IX , N 2ა, (ყოფ. ქუჩა ნიკეა, ჩიხი VIII, N2), (ნაკვ. N2)	03.05.23.312	x-309594 y-4677552	მიწის ფართი (ნარჩენი ზეთების უბანი)	დაზუსტებული ფართობიდან 27,843.00 კვ.მ-დან **45 კვ.მ.**	1,33	59,85
3	ქალაქი ბათუმი, იური გაგარინის ქუჩა, N1	05.25.13.044	x-718750 y-4611072	მიწის ფართი (ნარჩენი ზეთების უბანი)	დაზუსტებული ფართობიდან 31,569.00 კვ.მ-დან **25 კვ.მ.**	9,09	227,25
4	ქალაქი ფოთი, ქუჩა ლარნაკა, N2	04.01.03.831	x-721097 y-4672150	მიწის ფართი (ნარჩენი ზეთების უბანი)	დაზუსტებული ფართობიდან 10,443.00 კვ.მ.-დან **48 კვ.მ.**	6,42	308,16
5	ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი N104ვ	01.19.16.002.108		მიწის ფართი (ნარჩენი ზეთების უბანი)	დაზუსტებული ფართობიდან 15003 კვ.მ-დან 20 კვ.მ	2,17	43,40
6	გარდაბანი, სოფელი მარტყოფი	81.10.39.767	x-1001461 y-4311614	(ნარჩენი ზეთების უბანი)	დაზუსტებული ფართობიდან 39668 კვ.მ-დან 60 კვ.მ	13,93	835,80
						ჯამში:	2440,46

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„მოიჯარე“
ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“
მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებელის ხეივანი, N129
საიდენტიფიკაციო კოდი: 405523161
ს.ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE14TB7638836030100001

დირექტორი
შალვა ახვლედიანი

„მეიჯარე“
შპს „თეგეტა მოტორსი“
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, №129
ს/კ: 202177205
ს.ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE80TB0600000024467853

ადმინისტრირებისა და კონტროლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
გიორგი ხმელიძე